დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები:

ვერიკო ჭიღლაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: *კოლეჯი "ახალი ტალღა"*
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: *საჯარო სამართლის იურიდიული პირი*
საიდენტიფიკაციო კოდი: ***246954620***
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

მონიტორინგი პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე (სხდომის ოქმი 19/08/2022, MES 1 22 0000923107).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
-	-	-	-
-	-	-	-
-	-	-	-

შენიშვნა: ვიზიტის პერიოდისთვის, ხორციელდებოდა 37 პროგრამა. პროფესიული სტუდენტის აქტიური სტატუსი ჰქონდა 864 პირს, ხოლო პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ირიცხებოდა 69 მსმენელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საერთო მიმოხილვა

2023 წლის 11 ივლისს პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობისა (სხდომის ოქმი 19/08/2022, MES 1 22 0000923107) და სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (28.06.2023 წ. MES 6 23 0000777230) საფუძველზე, სსიპ კოლეჯ "ახალ ტალღაში", ***ქ. ქობულეთის ლოკაციაზე,*** განხორციელდა ვიზიტი/მონიტორინგი, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ. ა) და ე) ქვეპუნქტის ე. ა) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის წინაპირობა იყო, დაწესებულების ავტორიზაციის ვიზიტის ადმინისტრაციული წარმოებისას გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით, რომელიც წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ, შეფასებული იქნა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“. შემოწმება განხორციელდა წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად, რომელიც გარდა ვიზუალური შეფასებისა, მოიცავდა კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებას. შემოწმებისთვის კოლეჯის მხრიდან სრულად იყო უზრუნველყოფილი პირობები, რათა ექსპერტთა მიერ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად წარმართულიყო მონიტორინგის პროცესი.

შეფასების შედეგად დადასტურდა კოლეჯის საქმიანობისა და დოკუმენტაციის შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის დ. ა) და ე) ქვეპუნქტის ე. ა) კომპონენტებთან. დაწესებულების მიერ შესაბამისობის რეკომენდაციები შესრულებულია საბჭოს მიერ განსაზღვრულ და პსდ-ს გეგმით დადგენილ ვადებში.

განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე, ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილს არ იზიარებს დაწესებულება (არგუმენტირებული პოზიციის შესახებ დაწესებულების 2023 წლის 4 აგვისტოს კორესპონდენცია MES 8 23 0000964252). დაწესებულების მიერ, რეკომენდაციებთან დაკავშირებულ, წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება და კვლავ ტოვებს გაცემულ რეკომენდაციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
1.1) პსდ-ს მისია	-	-
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	-	-
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	-	_
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	-	-
4) ადამიანური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	-	***შეესაბამება***
4.2) პერსონალის განვითარება	-	-
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	-	***შეესაბამება***
5.2) საინფორმაციო რესურსები	-	-
5.3) ფინანსური რესურსები	-	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

შესაბამისობის რეკომენდაციები ეხებოდა მე-4 და მე-5 სტანდარტების შემდეგ ინდიკატორებს:
4.1.1. (1) – „დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და დაწესებულების სტრუქტურა. ასევე შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რასაც ითვალისწინებს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ - ***რეკომენდაცია შესრულებულია***. წარმოდგენილია ახალი სტრუქტურული სქემა (დეტალური აღწერა იხ. ქვ. ინდიკატორი 4.1.1.(1)). დაწესებულების მართვის სისტემა აგებულია პროცესულ მიდგომაზე. მიდგომიდან გამომდინარე, დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები. შიდა რეგულაციებში იდენტიფიცირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები და ქვეპროცესები, მართვის თავისებურებები და მოთხოვნები. განსაზღვრულია პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, შემუშავებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობები, განსაზღვრულია მათი ფუნქცია-მოვალეობები, პასუხისმგებლობის სფეროები.

5.1.2. (1) – „დაწესებულებამ „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესრულებისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება“ - ***რეკომენდაცია შესრულებულია*** - დაწესებულების მიერ აღმოფხვრილია სპეციალური სამსახურის მიერ გაცემული ყველა მითითება. საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მოწყობილია ერთიანი სახანძრო-საევაკუაციო სისტემა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემულია დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

პროცესების ეფექტურობისა და გაუმჯობესების მიზნით, სასურველია:

4.1.1.(1) და **4.1.2. (3)** - დაკონკრეტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უფრო ეფექტურს გახდის პერსონალის მართვის პროცესებს, ასევე ეფექტურს გახდის პერსონალის შერჩევა-შეფასებას, როგორც შიდა, ისე გარე შემფასებლების მიერ შემოწმების პროცესს. სამუშაოს აღწერილობებზე უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის რეკვიზიტები და ერთი ეგზემპლარი გადაეცეს დასაქმებულს. დოკუმენტების სამუშაო აღწერილობებზე სრულყოფის მიზნით, თითოეული პოზიციისთვის იდენტიფიცირდეს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო პირობები/მოთხოვნები და რისკები.

4.1.1.(3) - დაწესებულებამ გაიზიაროს და დანერგოს ხარისხის სისტემის მართვის შიდა შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს კალენდარული წლის (საანგარიშო პერიოდში) დაწესებულების ყველა პროცესის, მათ შორის ხარისხის მართვისა და ხარისხის მართვის მენეჯერის საქმიანობის, სისტემატურ მიუკერძოებელ შიდა შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესებას.

5.1.1. (3) - ჯვარედინი დაბინძურების და სხვადასხვა ინფექციის თავიდან არიდების, ასევე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით_პსდ-მ შეიმუშაოს დასალაგებელი სივრცეების სპეციფიკისა და სან-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების რიგითობის, ინვენტარის ნიშანდების, მოვლა-გამოყენების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო გამოყენების წესების მითითებით სამუშაო ინსტრუქციები.

- პსდ-მ უზრუნველყოს ნარჩენების მართვის, მათ შორის სეპარირებულად შეგროვების, კარგი პრაქტიკის დემონსტრირება-დანერგვა როგორც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან, ისე თემთან. იტვირთოს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის ინფორმაციის/ცოდნის გამავრცელებლის როლი კარგი პრაქტიკის დემონსტრირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.1. (5) - შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, პსდ-მ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ მასში სრულად აისახოს, თანმიმდევრული და პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს.

- დანერგოს რისკების მართვის პრაქტიკა, ასევე შეიმუშაოს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი შესრულების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს რისკებისა და საწარმოო შემთხვევების მინიმიზაციას, ამასთან გაზრდის შრომის უსაფრთხოების ეფექტურობას.

- გამკაცრდეს კონტროლი დარგობრივ კაბინეტებში უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მიზნით. დარგობრივი კაბინეტების პერსონალმა სისტემატურად უზრუნველყოს კაბინეტებში სანიმუშო საწარმოო სანიტარიისა და წესრიგის დაცვა/დემონსტრირება, რაც არა მხოლოდ საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს, არამედ პროფესიულ სტუდენტებში აღიშნული ღირებულების ჩამოყალიბებას.

5.1.2 (1) - დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების გარდა, ხარისხის მართვის პრინციპმა („დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“) მოიცვას ყველა ძირითადი და დამხმარე, მათ შორის, მათი თანმდევი ქვეპროცესებიც.

- ლიფტების მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის №446 დადგენილებით („ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 31.12.2013) და უზრუნველყოს ლიფტების მომსახურება და ექსპერტიზა, დადგენილი პერიოდულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XI. სტანდარტების შეფასება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.** კოლეჯის სტრუქტურა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე, საქმიანობის ფუნქციონალურ და იერარქიულ დაყოფაზე. იერარქიული დაქვემდებარება ითვალისწინებს მართვის სხვადასხვა დონეების არსებობას, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, დამოუკიდებელნი არიან გადაწყვეტილებების მიღებისას (დასტურდება ასევე სამუშაო აღწერილობის დოკუმენტებით).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა (დამტკიცების რეკვიზიტები: ბრძანება №01-04/79, 04.05.2023წ.), რომელიც წარმოდგენილია პროცესებისა და პოზიციების, ასევე დამხმარე მომსახურებების (პროცესების) მითითებით, მათ შორის სქემაზე მითითებულია საშტატო ერთეულებიც. დოკუმენტით განსაზღვრულია ერთადერთი სტრუქტურული ერთეული - ფინანსური განყოფილება. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთიანი მიდგომა და სტრუქტურაზე გამოსახოს მხოლოდ პროცესები და ქვეპროცესები შესაბამისი პოზიციების მითითებით, ისე, როგორც ეს ფაქტობრივად აქვს სქემაზე.

პსდ-ში წინა ადმინისტრაციული წარმოებისას, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“ და გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, შემუშავებულიყო „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება პოლიტიკის დოკუმენტი“ და დაწესებულების სტრუქტურა შესაბამისობაში მოსულიყო დოკუმენტთან, ასევე შემუშავებულიყო სტრუქტურული ერთეულების დებულებები. დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ მოდიფიცირებული ვერსია დამტკიცების რეკვიზიტები:14/06/2023 წ. ბრძანება №01-04/125). როგორც აღინიშნა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას არ აქვს სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრული, სქემა ძირითადად აგებულია პროცესებისა და პოზიციების ურთიერთკავშირით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი მოიცავს ყველა პროცესის/ქვეპროცესის აღწერა-დახასიათებასა და მართვის მექანიზმებს მ.შ. ფინანსური განყოფილების ნაწილში (პროცესი ფინანსური რესურსების მართვა). ამავე დოკუმენტით, ინტერესთა კონფლიქტის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით, განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. პროცესებისა და ქვეპროცესების მართვაში ასევე ჩართული საშტატო განრიგით გაწერილი ერთეულები - სპეციალისტები, კოორდინატორები. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება სარგებლობს გარე მომსახურებით. ხელშეკრულება მოიცავს პროცესის მართვისთვის ყველა კომპონენტს. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები ყველა პოზიციისთვის. გათვალისწინებულია წინა წარმოების დასკვნაში მითითებული ყველა შენიშვნა.

პსდ-ს მიერ სულ წარმოდგენილი იყო 54 სამუშაო აღწერილობა, მათ შორის 6 დაბა ხულოს ფილიალის პერსონალის. დოკუმენტი მოიცავს პოზიციის მიზნის ფორმულირებას. მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრულია ფუნქცია-მოვალეობები. ამავე დოკუმენტშივეა განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. აღსანიშნია გარემოება, რომ უმრავლეს შემთხვევაში არაა დაკონკრეტებული მოთხოვნები განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და ე.წ. სპეციფიკური ცოდნის მიმართ, არსებული ჩანაწერები ზოგადი შინაარსისაა. მაგ.

პოზიციის დასახელება - IT ქსელის ადმინისტრატორი, მოთხოვნილი აუცილებელი განათლება - *„პროფესიული განათლება“, აუცილებელი* სამუშაო გამოცდილება -„სამუშაო გამოცდილება *ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში“;* სასურველი განათლება - *„ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენინგები“;*

პოზიციის დასახელება - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სპეციალისტი, მოთხოვნილი აუცილებელი განათლება - „საშუალო“, დამატებითი ლიცენზიები, სერტიფიკატები - „სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ ტრენინგი“, სასურველი მოთხოვნილი ტრენინგები - „დარგის შესაბამისი დამატებითი ტრენინგები“; სასურველი განათლება - არაა მითითებული ; სამუშაო გამოცდილება არაა სავალდებულო; აღნიშნული პოზიციისთვის ასევე დოკუმენტით, საკვანძო კომპეტენციებსა და ცოდნაში განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტი: „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების შესახებ — სანიტარიული წესები და ნორმები“, მაშინ, როცა პოზიციის ფუნქცია მოვალეობები არ მოიცავს ამ საკითხების მიმართულებით შესასრულებელ სამუშაოებს. ძირითადი სამუშაოები ეხება ეზოს, შენობა-ნაგებობის დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლს/მონიტორინგს. დოკუმენტით იდენტიფიცირებულია ასევე შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები: „დასუფთავებისა და დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება“ და „დალაგება /დასუფთავების პერსონალის სწავლება ხსნარების გამოყენების შესახებ“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის სასურველია დაწესებულებამ განსაზღვროს შესაბამისი რეგულაციები სანიტარული ნორმებისა (სანიტარული კოდექსი) და დეზინფიცირების (ტექნიკური რეგლამენტი) შესახებ.

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტებში ზოგადია ასევე ჩანაწერი სამუშაო პირობების შესახებ, რაც ფაქტობრივად შინაგანაწესის პუნქტების ამონარიდია - „კანონმდებლობის დაცვით დასაქმებულისათვის უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხო გარემო შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით“ - *სასურველია რიგი პოზიციისთვის, შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისად იდენტიფიცირდეს სპეციფიკური მოთხოვნები/რისკები და მიეთითოს სამუშაო აღწერილობაში, რომლის ერთ ეგზემპლარს უნდა ფლობდეს დასაქმებული, რისი დემონსტრირებაც ვერ მოხდა შემოწმებისას (ორივე ეგზემპლარი განთავსებულია პირად საქმეში, მ.შ. ვადაგასული), ასევე დოკუმენტზე უზრუნველყოფილი იქნეს პირის დოკუმენტთან გაცნობის დამადასტურებელი რეკვიზიტები.* მაგ. იდენტური სამუშაო პირობები და ჩანაწერი ვერ ექნება დამლაგებელსა და სასწავლო პროცესის მენეჯერს, ან ბიბლიოთეკარს, არქივის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს და ა.შ. ასევე საინტერესო ფაქტორია სამუშაოს დასრულების დრო - 18:00, რომელიც ერთნაირია ყველა ზემოთ აღნიშნული პოზიციისთვის შემუშავებულ დოკუმენტში. კონკრეტულ საკითხთან მიმართებით კითხვები დაისვა დამლაგებელსა და დარაჯთან მიმართებით. რეალურად მათი სამუშაო საათები არ ემთხვევა მითითებულს, ექსპერტთა მიერ *გაიცა მითითება, კორექტირდეს აღნიშნული ტექნიკური შინაარსის შეუსაბამობები/დეტალებიც.*

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის სპეციფიკური ცოდნა, თუმცა ხშირად ზოგადი ფორმულირებით. სასურველია სამუშაო დოკუმენტში მითითებული იქნეს პირის კონკრეტული საქმიანობისთვის საჭირო/აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტები. მაგ. „რეესტრის წარმოების წესის ცოდნა“, ან „საგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელი აქტები“ - ნაცვლად მიეთითოს კონკრეტული რეგულაციები.
მსგავსი შინაარსის ჩანაწერი ბევრია დოკუმენტებში, ამასთან ექსპერტთა ვიზიტამდე დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილებები, რაც პერსონალის განმარტებით ძირითადად პოზიციების დასახელებებს შეეხო, რათა მოსულიყო შესაბამისობაში სტრუქტურულ სქემასთან.

სასურველია, დაწესებულებამ დააკონკრეტოს პოზიციების შესაბამისი განათლების მიმართულება ან კონკრეტული მოვალეობების შესრულებისთვის, სამუშაო გამოცდილების რა ვადას ანიჭებს უპირატესობას. რაც შემდეგში, პერსონალის შერჩევა/მართვის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

კოლეჯის დირექტორის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის წესდებით (მუხლები: 4. და 5.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა დასკვნით, პსდ-ში მოქმედი პროცესებზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

განმავითარებელი შეფასება:

სასურველია:
დაწესებულებამ დააკონკრეტოს პოზიციების შესაბამისი განათლების მიმართულება ან კონკრეტული მოვალეობების შესრულებისთვის, სამუშაო გამოცდილების რა ვადას, ან სპეციფიკურ ცოდნას ანიჭებს უპირატესობას. რაც შემდეგში, პერსონალის შერჩევის ან/და მართვის პროცესების მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. ასევე სამუშაოს აღწერილობებზე უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის დოკუმენტთან გაცნობის რეკვიზიტები და ერთი ეგზემპლარი გადაეცეს დასაქმებულს. დოკუმენტების სამუშაო აღწერილობებზე სრულყოფის მიზნით, თითოეული პოზიციისთვის იდენტიფიცირდეს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით სამუშაო პირობები/მოთხოვნები და რისკები.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

როგორც 4.1.1. (1)ინდიკატორის აღწერაში აღინიშნა, დაწესებულებას არ აქვს სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრული, სქემა ძირითადად აგებულია პროცესებისა და პოზიციების ურთიერთკავშირით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტი მოიცავს ყველა პროცესის/ქვეპროცესის აღწერა-დახასიათებასა და მართვის მექანიზმებს.

<u>იდენტიფიცირებულია შემდეგი ძირითადი პროცესები: 1. პროგრამების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების) განვითარება; 2. სწავლა/სწავლების პროცესის ორგანიზება; 3. სტუდენტთა კორპუსის მართვა.</u>
<u>და</u>
<u>დამხმარე პროცესები: 1. ადამიანური რესურსების მართვა 2. მატერიალური რესურსის მართვა; 3.საინფორმაციო რესურსების მართვა, 4. პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება 5. ფინანსური რესურსის მართვა; 6. მართვის პროცესები; 7. სტრატეგიული დაგეგმვა.</u>

განსაზღვრულია პროცესების ქვეპროცესები. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. ყველა პოზიციისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები, განსაზღვრულია პროცესის მართვის თავისებურებებისა და საკანონმდებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნების მიხედვით ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულების მიერ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები ფარავს დაწესებულების ყველა ძირითად თუ დამხმარე პროცესებს, ასევე შესაბამისია სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების, ამოცანათა შესრულებაზე პასუხისმგებლობების განაწილება რელევანტურია. პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეებით დასტურდება პერსონალის კომპეტენციების შესაბამისობა შესასრულებელ სამუშაოებთან და დაკისრებულ მოვალეობებთან. პსდ-ს გარე მომსახურებაზე აქვს გატანილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ხელშეკრულება მოიცავს პროცესის ეფექტურად მართვისთვის ყველა აუცილებელ საკანონმდებლო კომპონენტს.

შეფასებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დასტურდება რომ პსდ-ს პერსონალს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირებია ხარისხის მენეჯერი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალისტები. კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მიერ ხდება ასევე ხულოს ფილიალის ხარისხის მართვა. ხარისხის მართვის საშტატო ერთეულებისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობები. დოკუმენტებში გათვალისწინებულია წინა ადმინისტრაციული წარმოებისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები. განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები, ასევე შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციით და პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება პროცესების დაგეგმა-მართვისას დაწესებულება ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის დაცვის პრინციპებს. ხარისხის მენეჯერის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებია პსდ-ს ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მონიტორინგი/შემოწმება/შეფასება, ასევე თვითშეფასებისა და ვერიფიკაციის პროცესების კოორდინაცია, თვითშეფასების ანგარიშისა და განაცხადების წარდგენა მაკონტროლებელთან. თავად ხარისხის მენეჯერის და ხარისხის მართვის პროცესის შეფასება/კონტროლი ხორცილდება გარე შეფასებისას, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა მიერ დადგენილი პერიოდულობით ავტორიზაციისა და დაწესებულების მიერ პროგრამის დამატებისას, ხოლო მონიტორინგით, უმრავლეს შემთხვევაში ფასდება ცალკეული კომპონენტები და არა მთლიანად ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, გრდა სრული მონიტორინგისა. *კოლეჯის პროცესებისა და საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე, ასევე პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით (დამატებით ხარისხის სპეციალისტის 2 საშტატო ერთეული) სასურველია დაწესებულებამ გაიზიაროს და დანერგოს ხარისხის სისტემის მართვის შიდა შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს, კალენდარული/საანგარიშო წლის განმავლობაში, დაწესებულების ყველა პროცესის, მათ შორის ხარისხის*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის/ხარისხის მენეჯერის საქმიანობის სისტემატურ მიუკერძოებელ შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესებას ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით.

პსდ-ს ხარისხის სპეციალისტები ინდივიდუალური ფუნქციებით ჩართული არიან პროცესების შესრულებაში. მათი მოვალეობები სრულად ფარავს ხარისხის უზრუნველყოფის მართვა-განვითარების პროცესებს და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია:
დაწესებულებამ გაიზიაროს და დანერგოს ხარისხის სისტემის მართვის შიდა შეფასების საერთაშორისო პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს, კალენდარულის წლის ან/და საანგარიშო პერიოდში, დაწესებულების ყველა პროცესის, მათ შორის ხარისხის მართვის სისტემატურ მიუკერძოებელ შეფასებასა და პროცესების გაუმჯობესებას, ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბრძანება №01-04/79 „სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ 2020 წლის 27 ივლისის N01-04/126, 2021 წლის 28 მაისის N01-04/69, 2022 წლის 23 თებერვლის N01-04/39, 2022 წლის 27 ივნისის N01-04/127, 2023 წლის 27 თებერვლის N01-04/34 და 2023 წლის 06 მარტის N01-04/40 ბრძანების და ამ ბრძანებებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' სტრუქტურის და თანამდებობრივი ინსტრუქციის ძალადაკარგულად გამოცხადების, ამასთან სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა'' მოდიფიცირებული სტრუქტურის და თანამდებობრივი ინსტრუქციის (სამუშაო აღწერილობები ს) დამტკიცების შესახებ“ (04.05.2023);
2. ბრძანება №01-04/125 „სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის“ დირექტორის 2020 წლის 28 დეკემბრის №01-04/225 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და მოდიფიცირებული: „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დამტკიცების შესახებ“ (14.06.2023);
3. ბრძანება №01-04/123 „სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის'' დირექტორის 2023 წლის 04 მაისის №01-04/79 ბრძანებასა და მის N2 დანართში ცვლილების(ტექნიკური ხასიათის უზუსტობის გასწორების) შეტანის და მოდიფიცირებული: სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობები) დამტკიცების შესახებ“ (13.06.2023);
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №119/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ახალი ტალღის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ (19.06.2019 წ.)
5. ბრძანება №01-04/115 „სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის'' დირექტორის 2019 წლის 06 მარტის N01-04/38 „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ 2012 წლის 18 თებერვლის №9/2 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადების და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ მოდიფიცირებული ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მოდიფიცირებული ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების“ შესახებ“ (06.06.2023);
6. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
7. „სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის'' განვითარების სტრატეგიული გეგმა 2019-2025 წლებისთვის
8. შრომის უსაფრთხოების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #03-08/178, 10.07.2023
9. კოლეჯის ვებ-გვერდი https://www.kpc.ge
10. პერსონალთან გასაუბრების შედგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობები დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში. ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები რეგულირდება „ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ დოკუმენტით.

პსდ-ს შინაგანაწესი შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების, არეგულირებს შრომითი ურთიერთობის, უსაფრთხოების პროცესებს, ასევე განსაზღვრავს მოტივაციისა და დისციპლინარული დევნის, ეთიკასა და კორპორატიულ კულტურასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის საკითხები.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, განთავსებული პსდ-ს ვებგვერდზე. შინაგანაწესით გათვალისწინებულია დოკუმენტში განხორციელებული ცვლილებების შესახებ პერსონალის ინფორმირება, რისთვისაც განსაზღვრულია შიდა კომუნიკაციის ფორმები. კომუნიკაცია ძირითადად ხდება შიდა კორპორატიული/პერსონალური ელექტრონული ფოსტების, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის, პსდ-ს ვებ-გვერდსა და შენობაში თვალსაჩინო ადგილას ინფორმაციის/დოკუმენტის განთავსება, საჭიროებისას იგეგმება შეხვედრები.

პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული მუხლები არაა წინააღმდეგობაში შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტებით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება იცავს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებსაც. პსდ-ში ხორციელდება პერსონალის სამსახურში გამოცხადების/სამუშაო საათების აღრიცხვა, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით. ასევე წარმოდგენილი იქნა დარაჯების ცვლაში მუშაობის განრიგი, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პირადი საქმეების შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და შიდა პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. შესწავლილი დოკუმენტაციით, პსდ-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციებით განსაზღვრული პერსონალის მიღებისა და გათავისუფლების პუნქტები უზრუნველყოფს ობიექტურობის პრინციპების დაცვას. აღნიშნული საკითხების რეგულაციები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკისა (მუხლი 10. თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების და ინტეგრაციის პოლიტიკა) და შინაგანაწესის (თავი II. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შეჩერება, შეწყვეტა) დოკუმენტებში.

პერსონალის მოზიდვის მიზნით პსდ იყენებს სხვადასხვა ფორმებს: ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული საკადრო ბაზიდან; ღია კონკურსის გამოცხადება. ვაკანტური პოზიციის შესახებ ინფორმაციის თავსდება დასაქმების პორტალზე (hr.gov.ge), კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელში, ბეჭდურ მედიაში. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს ვაკანსიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებისა და დასაქმების სააგენტოსათვის. შერჩევისას იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს: გასაუბრება, ტესტირება, კონკურსი და სხვა.

შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია კანონმდებლობით განსაზღვრული არსებითი მოთხოვნები და მოიცავს დასაქმებულისთვის სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად სრულყოფილ ინფორმაციას. ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ასევე სამუშაო აღწერილობები. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის პირადი საქმეები (ძირითადი და და დამხმარე პროცესების მართვაზე პასუხისმგებელი პირების, ასევე ზოგადი და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირების). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ცნობები. პირადი საქმეების შესწავლისას, ექსპერტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ ასევე გამოთხოვილი იქნა ახლად აყვანილი პერსონალის პირადი საქმე. პერსონალის შერჩევა და ადაპტაციის პროცესი განხორციელებულია გაწერილი პოლიტიკის/რეგულაციების მოთხოვნათა შესაბამისად.

შესწავლილი დოკუმენტებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგად პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. ვიზიტამდე შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი სამუშაო აღწერილობები, სადაც ასევე განსაზღვრულია პოზიციებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (ჯამში ხულოსა და ქობულეთის ლოკაციების პერსონალისთვის 54 სამუშაო აღწერილობა). საკვალიფიკაციო მოთხოვნების შინაარსი ზოგადია და არა კონკრეტული. მაგალითად ხშირ შემთხვევაში განათლებაში მითითებულია უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მაგრამ არაა კონკრეტული კვალიფიკაცია ან/და ხარისხი მითითებული, ანალოგიურადაა გაწერილი სამუშაო გამოცდილებაც, მაგ. IT ადმინისტრატორისთვის მითითებულია „სამუშაო გამოცდილება IT სფეროში„ (იხ. ასევე 4.1.2 (1) და 4.1.2.(2) ინდიკატორების აღწერა). საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას, *სასურველია დაკონკრეტდეს მოთხოვნები, პოზიციების შესაბამისი განათლების მიმართულება ან კონკრეტული მოვალეობების შესრულებისთვის, სამუშაო გამოცდილების რა ვადას ანიჭებს უპირატესობას. რაც შემდეგში, პერსონალის შერჩევის ან/და დაწინაურების შემთხვევაში, პსდ-ში უზრუნველყოფს პროცესების მეტ გამჭვირვალობას. ასევე, პერსონალის მართვის პროცესების ან პერსონალის შერჩევა-შეფასებისას, როგორც შიდა, ისე გარე შემფასებელს, ექნება არა მხოლოდ მონაცემთა შედარების, არამედ შეფასების შესაძლებლობა.*

ვიზიტის დროს შერჩევითი პრინციპით შემოწმდა პერსონალის (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, გათბობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, მძღოლი, ზოგადი და დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, მათ შორის ახალი მიღებული პერსონალი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი) პირადი საქმეები. პირადი საქმეები დაკომპლექტებული იყო დაწესებულების რეგულაციებით („შინაგანაწესი“, „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა“, „საქმისწარმოების წესი“) დადგენილი წესების თანახმად. მოიცავდა ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო დოკუმენტს/ცნობას. პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (განათლების/კვალიფიკაციის დამდასტურებელი დიპლომები, პროფესიული მომზადების/გადამზადების სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობები) საფუძველზე, ***შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია და კომპეტენციები შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქცია-მოვალეობებს და დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის კომპეტენტურობა ასევე დასტურდება მათთან გასაუბრებით.

განმავითარებელი რეკომენდაცია
სასურველია:
დაკონკრეტდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც უფრო ეფექტურს გახდის პერსონალის მართვის პროცესებს, ასევე ეფექტურს გახდის პერსონალის შერჩევა-შეფასებისას, როგორც შიდა, ისე გარე შემფასებლების მიერ შემოწმების პროცესს.

4. პსდ-ს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯში მიმდინარე პროცესები ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდურ პრინციპებს. კოლეჯის შიდა რეგულაციების შესაბამისად, დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების/დოკუმენტების შემუშავება, მონიტორინგისა და შეფასების სამუშაოები, სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა და გადაწყვეტილებების მიღება ხდება გუნდური ან/და კომისიური წესით, რაც დასტურდება სხვადასხვა შიდა განკარგულებითი დოკუმენტებით (ბრძანებები, ოქმები/აქტები, ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტო-მსალა და ინფორმაცია). თანამონაწილეობისა და გუნდური მუშაობის ფაქტები დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან გასაუბრებითაც. ასევე აქტიური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის მკაფიო დემონსტრირებაა პსდ-ს ქობულეთისა და ხულოს ლოკაციების პერსონალს შორის თანამშრომლობა. აღსანიშნავია ასევე კოლეჯში სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან ერთობლივად განხორციელებული პროექტები, რომლებშიც ჩართულია დაწესებულების პერსონალი (ინფორმაცია პროექტების შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე).

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „ ადამიანური რესურსის მართვისა და განვითარების პოლიტიკა“ (27.07.2020 ბრძანება # ***N01-04-125)***
2. პერსონალის პირადი საქმეები (შრომის უსაფრთხოები, მედდა, სასწავლო პროცესი (ხულოს ფილიალი), ხარისხის მენეჯერი, სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებელი (ზოგადი, დარგობრივი მოდულები განმახორციელებელი პირები), სან-ჰიგიენის უზრუნველყოფის სპეციალისტი, ცეცხლფარეში, ლიფტის მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი)
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #119/ნ „სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ (19.06.2019) (კოლეჯის მართვა - თავი II) (სამეთვალყურეო საბჭო მუხლები 6-10; დირექტორი მუხლები 4;5.)
4. ბრძანება #01-04/134 „სსიპ კოლეჯ “ახალი ტალღის“ დირექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის #01-04/185 და 2022 წლის 29 ივლისის #01-04/138 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და დარაჯების-ცვლიანობის განრიგის დამტკიცების შესახებ“
5. პერსონალის სამსახურში გამოცხადების/სამუშაო საათების აღრიცხვის ჟურნალი
6. დარაჯების ცვლაში მუშაობის განრიგი
7. ბრძანება №01-04/94 სსიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის’’2020 წლის 09 ივნისის №01-04/77, 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 და 2022 წლის 15 თებერვლის N01-04/31 ბრძანებაში ცვლილების და სსიპ კოლეჯის ,,ახალი ტალღა’’ მოდიფიცირებული: „შინაგანაწესის“ დამტკიცების შესახებ (18/05/2023)
8. პერსონალის ადაპტაციის პროცესის დამდასტურებელი დოკუმენტები
9. პსდ-ის ვებგვერდი https://www.kpc.ge/

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მფლობელობაშია - ქ. ქობულეთის, რუსთაველის ქ # 154-ში მდებარე 9100 კვ. მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 20.42.05.599) შენობა-ნაგებობებით (4 სასწავლო კორპუსი და 5 დამხმარე შენობა-ნაგებობა).

   სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური რესურსით აღჭურვილი აქვს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 24 ერთეული A სასწავლო გარემო - საერთო ფართით - 969,4 კვ. მ
- 17 ერთეული B სასწავლო გარემო - საერთო ფართით - 764 კვ. მ
- 24 ერთეული C სასწავლო გარემო - საერთო ფართით - 1591,2 კვ. მ

სასწავლო გარემოების გარდა, დაწესებულებაში გამოყოფილია ფართი ბიბლიოთეკისთვის (წიგნსაცავი, სამკითხველო, ჯამში 22 სამუშაო ადგილით), ასევე კაბინეტები ადმინისტარციული პერსონალისთვის (16 ერთეული) და მასწავლებლებისთვის (3 ერთეული), პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის, არქივისთვის, შეხვედრებისა და საკონფერენციო სივრცეები (3 ერთეული), სპორტული დარბაზი (271, 9 კვ. მ) და მოედანი, საწყობი, საქვაბე. პროფესიული სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცეები (შენობის შიდა სივრცეები და პსდ-ს ეზო), სტუდენტური კაფე, საერთო საცხოვრებელი. აზომვითი ნახაზების მიხედვით, პსდ-ს ფოეს საერთო ფართი ჯამში 540.9 კვ. მ-ს შეადგენს. დაწესებულების შენობა-ნაგებობების ყველა სართულზე არის გამიჯნული სანიტარული წერტილები ქალებისა და მამაკაცებისთვის, ასევე ადაპტირებული წერტილები შშმ პირებისთვის (ჯამში 23 ერთეული).

სამუშაო კაბინეტები, სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები, აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, მოწყობილობა-დანადგარებითა და კომპიუტერული ტექნიკით. დაწესებულების მფლობელობაშია: 528 ერთეული კომპიუტერი, საიდანაც 88 ერთეული განკუთვნილია ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, ხოლო 447 - სასწავლო მიზნებისთვის. ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით (ჯამში პსდ-ს მფლობელობაშია 58 ერთეული). 66 პრინტერი, აქედან ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 31 ერთეული, ხოლო სასწავლო მიზნებისთვის - 35.

პსდ-ს მფლობელობაშია სატრანსპორტო საშუალებები (5 ერთეული). შშმ პირების შეუზღუდავად გადაადგილების მიზნით, მოწყობილია შენობებში შესასვლელი პანდუსები, ხოლო შიდა სივრცეში გადაადგილების მიზნით დამონტაჟებულია ლიფტი.
პსდ-ს უძრავი და მოძრავი ქონების ფლობა დასტურდება ინვენტარიზაციის, შესყიდვისა და რესურსის გადაცემის აქტებით, საჯარო რეესტრის ამონაწერით, პსდ-ს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზებით.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პსდ-ს საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებით და მატერიალური რესურსით სარგებლობა და ხელმისაწვდომობის რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ს შემუშავებულია აქვს წესი („მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, თავი III, 23.12. 2020 წ. ცვლილებები განხორციელებულია 28.01.2022 წ. ბრძ. N01-04/14). წესის თანახმად, დაწესებულების პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ დაუბრკოლებლად პსდ-ს ინფრასტრუქტურითა და რესურსებით (კომპიუტერები, ბიბლიოთეკა, პსდ-ში არსებული სხვადასხვა სივრცეები და ა.შ.).

ინფრასტრუქტურითა და რესურსებით დაუბრკოლებელად სარგებლობას ადასტურებენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტები.

დოკუმენტაციის შესწავლის, ინტერვიუს შედეგებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე პსდ-ს ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებით და მატერიალური რესურსით სარგებლობა, ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულებაში რეგულარულად (ყოველდღიურ რეჟიმში) ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება. ამ მიზნით შერჩეულია შესაბამისი რაოდენობის პერსონალი (6 დამლაგებელი და 1 მეეზოვე) ასევე გამოყოფილია პირი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სპეციალისტი, რომელიც კოორდინაციას უწევს სამუშაოების სწორად წარმართვასა და კოლეჯში სან-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის კონტროლს, რაც დასტურდება შემოწმების აქტებით. სპეციალისტის მიერ სისტემატურად ხდება დეზინფექცია-დერატიზაცია-დეზინსექციის ორგანიზება კოლეჯში, რასაც ახორციელებენ სპეციალური სამსახურები.

სპეციალისტის მიერ ასევე განსაზღვრულია პსდ-ს გენერალური დასუფთავების დროს შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა. სისტემატურ ხასიათს ატარებს სან-წერტილების დასუფთავების აღრიცხვა და სამუშაოების შესრულების კონტროლი, რაც დასტურდება, როგორც სან-წერტილებთან განთავსებულ დასუფთავების ფურცლებით, ისე სპეციალურად გამოყოფილ საქმეში განთავსებული დოკუმენტებით. სან-წერტილების ჰიგიენური მდგომარეობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც. წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენური საშუალებებით.

გარკვეული უწესრიგობა შეინიშნებოდა კოლეჯის ეზოს ტერიტორიაზე, სარემონტო სამუშაოების შედეგად წარმოშობილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინერტული ნარჩენები განთავსებული იყო უწესრიგოდ, უშუალოდ მიწის ზედაპირზე, რაც სან-ჰიგიენური პირობების გარდა, ქმნის სხვადასხვა ბიოლოგიური საფრთხეების წარმოშობის კერასაც. *სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ნარჩენების მართვის, მათ შორის სეპარირებულად შეგროვების, კარგი პრაქტიკის დემონსტრირება-დანერგვა როგორც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან, ისე თემთან და იტვირთოს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის ინფორმაციის/ცოდნის გამავრცელებლის როლი.*

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს მხოლოდ შესასრულებელი დავალებების ნუსხას. არაა შემუშავებული სამუშაოს შესრულების ინსტრუქციები, სადაც განსაზღვრული იქნებოდა დასუფთავების ინსტრუმენტების მარკირების, დამუშავებისა და სამუშაოების შესრულების თანმიმდევრობა ჯვარედინი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. ასევე განისაზღვრებოდა სამუშაოების შესრულებისას სავალდებულო პერსონალური დაცვის საშუალებები. *სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალისთვის სამუშაო ინსტრუქციების შემუშავება დასალაგებელი სივრცეების სპეციფიკისა და სან-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების რიგითობის, ინვენტარის ნიშანდების, მოვლა-გამოყენების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო გამოყენების წესების მითითებით, რაც უზრუნველყოფს როგორც ჯვარედინი დაბინძურების და სხვადასხვა ინფექციის თავიდან არიდებას, ისე პერსონალის უსაფრთხოებას (იხ. ასევე მე-5 პუნქტის აღწერა).*

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა ვიზუალური შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ პსდ იცავს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეებში (განსაკუთრებული აქცენტები კეთდება შენობა-ნაგებობების შიდა სივრცეებზე) სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

განმავითარებელი რეკომენდაცია
სასურველია:

- ***ჯვარედინი დაბინძურების და სხვადასხვა ინფექციის თავიდან არიდების, ასევე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ შეიმუშაოს, დასალაგებელი სივრცეების სპეციფიკისა და სან-ჰიგიენური მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოების შესრულების რიგითობის, ინვენტარის ნიშანდების, მოვლა-გამოყენების, საყოფაცხოვრებო ქიმიის უსაფრთხო გამოყენების წესების მითითებით, სამუშაო ინსტრუქციები.***
- ***პსდ-მ უზრუნველყოს ნარჩენების მართვის, მათ შორის სეპარირებულად შეგროვების, კარგი პრაქტიკის დემონსტრირება-დანერგვა როგორც პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან, ისე თემთან და იტვირთოს გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის/ცოდნის გამავრცელებლის როლი.

4. პსდ-ს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. გათბობის სისტემის ფუნქციონირება დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე კომუნალური გადასახადის ქვითრებითა და სისტემის ფუნქციონირებისთვის გაზის მომწოდებელი კომპანიის მიერ, გათბობის სისტემის გამართულობის გეგმიური შემოწმების აქტებით. შენობა-ნაგებობების წლის ცივ პერიოდში გათბობას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტებიც. გათბობის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-ს მიერ მოწყობილია საქვაბე, გამოყოფილია ცეცხლფარეშის საშტატო ერთეული. პერსონალისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა.

შეფასებისა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები - განსაზღვრულია პოზიცია, სამუშაო აღწერილობა, შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტი „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. ყველა სასწავლო გარემოში, განთავსებულია გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები, დარგობრივ კაბინეტებში წარმოებს სტუდენტთა ინსტრუქტაჟის შესახებ აღრიცხვის ჟურნალები. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/დარგობრივ კაბინეტებში სასწავლო პროცესის/პრაქტიკული კომპონენტის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით შემუშავებულია უსაფრთხოების ინსტრუქციები, რომლებიც ასევე განთავსებულია კაბინეტებში თვალსაჩინო ადგილას. დარგობრივი კაბინეტები აღჭურვილია პირველადი დახმარების ყუთებით.

ინსტრუქტაჟი განხორციელებულია ასევე პსდ-ს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების, ასევე სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების, სამუშაო ადგილზე რისკების შეფასების და სხვა საკანონმდებლო მოთხოვნებით გათვალისწინებულ საკითხებზე, რაც დასტურდება პერსონალის ინსტრუქტაჟის ჟურნალებში არსებული ჩანაწერებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რისკების შეფასებისა და ღონისძიებების გეგმა.

ინსტრუქტაჟის გავლას ადასტურებენ როგორც პერსონალი, ისე პროფესიული სტუდენტები. მიუხედავად განხორციელებული ინსტრუქტაჟებისა, ვიზიტის პერიოდშიც ადგილი ჰქონდა პერსონალის მხრიდან პერსონალური დაცვის საშუალებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგნორირებას (დამლაგებელი, მეეზოვე), *სასურველია პსდ-ს მიერ ინსტრუქციებთან ერთად უზრუნველყოფილი იქნეს ყველა პოზიციისთვის, მით უფრო რისკის შემცველი პოზიციებისთვის, სამუშაოს შესრულების ინსტრუქციების შემუშავება, მათ შორის, სამუშაოების შესრულებისთვის საჭირო პერსონალური დაცვის საშუალებების მითითებით.*

შიდა ნორმატიული დოკუმენტით „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“(ბრძანება N01-04/95 01.07.2020 წ.) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს (მუხლი 4. პ.1). უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, პროცესების შესაბამისად პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სხვა პერსონალზეც. მაგ.: შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად სამსახურეობრივი ინსტრუქციების ფარგლებში ეკისრება დარაჯს; პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს; თუმცა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სივრცეებში/დარგობრივ კაბინეტებში (ელექტროობა, შედუღება, სადურგლო) გარკვეული უწესრიგობა იყო შეფასებისას. *დაწესებულებამ გაამკაცროს კონტროლი დარგობრივ კაბინეტებში უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მიზნით. პერსონალმა უზრუნველყოს დარგობრივ კაბინეტებში სანიმუშო საწარმოო სანიტარიისა და წესრიგის დაცვა-დემონსტრირება სისტემატურად, რაც არა მხოლოდ საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს, არამედ პროფესიულ სტუდენტებში აღიშნული ღირებულების ჩამოყალიბებასაც (იხ. ასევე 5.1.1. 3 ინდიკატორის აღწერა).*

„შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს, არ მოიცავს, შრომის უსაფრთხოების კოდექსით განსაზღვრულ ყველა მითითებას, თუ რას უნდა მოიცავდეს დაწესებულების მიერ ამ მიზნით შემუშავებული შიდა რეგულაცია. დაწესებულებამ, აღნიშნული საკითხების ეფექტურად მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშაოს თანმიმდევრული და პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს (შრომის უსაფრთხოების კოდექსის მუხ.5, პ.5; მუხ. 6. პ.1“ე“).

ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი დაწესებულებაში რისკების შეფასებისა და გასატარებელი ღონისძიებების გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ში ხორციელდება ინსტრუქტაჟები, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ უნდა *დანერგოს რისკების მართვის პრაქტიკა, ასევე შეიმუშაოს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი შესრულების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს რისკებისა და საწარმოო შემთხვევების მინიმიზაციას, ამასთან გაზრდის შრომის უსაფრთხოების ეფექტურობას.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომის უსაფრთხოების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტამდე ემსახურებოდა შესაბამისი კომპეტენციის პირი, რომელიც გათავისუფლებული იქნა დაკავებული პოზიციიდან, საკანონმდებლო მოთხოვნების საფუძველზე, კერძოდ, კომპეტენციის დამდასტურებელი სერტიფიკატის ვადის გასვლის გამო. მიმდინარე ეტაპისთვის, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, პსდ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (#03-08/178, 10.07.2023) კომპანია შპს „ეიჩესი ჯგუფი“ (ს/კ 405145970). ხელშეკრულებით კომპანია იღებს ვალდებულებას შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სისტემის დანერგვასა და კონტროლზე. დოკუმენტი მოიცავს შრომის უსაფრთხოების ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას, ასევე აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სავალდებულო დოკუმენტაციის გადახედვა-შემუშავებასა და პერსონალის ინსტრუქტაჟს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ასევე 4 თვეში ერთხელ დაწესებულების შეფასება შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ხულოს ფილიალში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დასტურდება, რომ პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
შრომის უსაფრთხოების მექანიზმების ეფექტურობისა და გაუმჯობესების მიზნით, სასურველია:

- ***შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისას, პსდ-მ იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ისე რომ მასში სრულად აისახოს, თანმიმდევრული და პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს.***
- ***დანერგოს რისკების მართვის პრაქტიკა, ასევე შეიმუშაოს სამუშაოთა სპეციფიკის გათვალისწინებით მათი შესრულების ინსტრუქციები, რაც უზრუნველყოფს რისკებისა და საწარმოო შემთხვევების მინიმიზაციას, ამასთან გაზრდის შრომის უსაფრთხოების ეფექტურობას.***
- ***<u>გამკაცრდეს კონტროლი დარგობრივ კაბინეტებში უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის მიზნით. დარგობრივი კაბინეტების პერსონალმა სისტემატურად უზრუნველყოს კაბინეტებში სანიმუშო საწარმოო სანიტარიისა და წესრიგის დაცვა/დემონსტრირება, რაც არა მხოლოდ საწარმოო სანიტარიისა და უსაფრთხოების დაცვას შეუწყობს ხელს, არამედ პროფესიულ სტუდენტებში აღიშნული ღირებულების ჩამოყალიბებასაც (იხ. ასევე 5.1.1. 3 ინდიკატორის აღწერა).</u>***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია შიდა რეგულაციით „მატერიალური რესურსის განკარგვის წესი“ (დამტკიცებულია ბრძანება N01-04/219, 23.12. 2020 წ. ცვლილება განხორციელებულია ბრძანება N01-04/14 28.01.2022). წესი ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულს პროცედურებს: მასალა-ნედლეულის შენახვა, გაცემა, გამოყენება, აღრიცხვა, ჩამოწერა, ანგარიშგება, ინსპექტირება, უტილიზაცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელების ან ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით წერილობით მიმართავს კოლეჯის დირექტორს პროგრამის დამატების ან განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის მოთხოვნით. შეძენილი რესურსების შესაბამის პირებზე გადაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და იტვირთება ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში (e-Flow).

ვიზიტის დროს ვერტიკალური შემოწმების პრინციპით, გამოთხოვილი იქნა შერჩევით ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია. დაწესებულების მიერ, პროგრამისთვის საჭირო რესურსების შესყიდვა განხორციელებულია დაგეგმილი სასწავლო ციკლების/ეტაპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება, რომ პსდ-ში პროცესი იმართება შიდა რეგულაციით დადგენილი წესების თანახმად. **წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ფაქტობრივი მდგომარეობით პსდ-ში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

7. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ს შემუშავებული აქვს შიდა მექანიზმები, რომელიც კოლეჯის საქმიანობისა და სერვისებთან ერთად გამოიყენება დაწესებულების რესურსების შეფასება-განვითარებისა და ხარისხის შენარჩუნებისთვის. პროცედურით განსაზღვრულია დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესები შემადგენელი ქვეპროცესებით. სასწავლო პროცესის ორგანიზების ქვეპროცესს წარმოადგენს, სწორედ საჭირო რესურსების შეფასება.

დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს ითვალისწინებს პსდ-ს ხარისხის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებიც (ხარისხის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა). დამატებით მატერიალური რესურსების შეფასება, ყოველწლიურად ხორციელდება ინვენტარიზაციის კომისიის მიერ. მატერიალური რესურსების შეფასებას, „მატერიალური რესურსების განკარგვის წესის თანახმად“, ახორციელებს ასევე ინსპექტირების მუდმივმოქმედი კომისია, რომლის ვალდებულებაშიც შედის ყველა შესყიდული რესურსის, გარდა სახარჯისა, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსპექტირება ეხება სასწავლო მიზნებით შესყიდული მომსახურებასაც. ინსპექტირების კომისიაში შედიან: ბუღალტერი, ლოჯისტიკი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესაბამისი დარგობრივი მასწავლებელი ან დარგის ექსპერტი.

პერსონალის შეფასების მიზნით დაწესებულებას შემუშავებლი აქვს „სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების წესი" (ბრძანება 01-04/152 26.08.2022წ). რესურსების შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ აქტივობები განსაზღვრულია დაწესებულებისა და ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმებში. აღნიშნული საკითების შესახებ კითხვებს მოიცავს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და პერსონალის შეფასების მიზნით შემუშავებული, დაწესებულების ანკეტა-კითხვარები . გამოკითხვას და შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების მიხედვით იგეგმება რესურსების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობები. რესურსების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ინფორმაცია ასახულია წლიურ ანგარიშებში. აღნიშნული ასევე დასტურდება ფინანსური ანგარიშებით, გაწეული ხარჯების მაჩვენებლებით.

ვიზიტის დროს, გარდა შესწავლილი დოკუმენტებისა, აღნიშნული ხარისხის მექანიზმების რეალურად განხორციელების ფაქტები გადამოწმდა ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით. ასევე სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან, რომელმაც დაადასტურა, რომ გარდა ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით, სატრანსპორტო საშუალებების შეფასება, პერიოდულად ხორციელდება შიდა შეფასება, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ სივრცეში, დარგის მასწავლებლის/სპეციალისტის მიერ.

რესურსების შეფასების შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. **შეფასების შედეგად დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობების ყველა სართულზე არის გამიჯნული სანიტარული წერტილები ქალებისა და მამაკაცებისთვის, ასევე ადაპტირებული წერტილები შშმ პირებისთვის (ჯამში 23 ერთეული). სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია ჰიგიენური საშუალებებით აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათება და ვენტილაცია. შშმ პირებისთვის განკუთვნილი სანიტარული კვანძები მოწყობილი სტანდარტების დაცვით და უზრუნველყოფს პირთა უსაფრთხო გადაადგილებასა და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას. დაწესებულებაში სანიტარული კვანძების დასუფთავება ატარებს სისტემატურ ხასიათს. დაწესებულებაში წარმოებს სან-წერტილების დასუფთავების აღრიცხვა და სამუშაოების შესრულების კონტროლი, რაც დასტურდება, როგორც სან-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერტილებთან განთავსებულ დასუფთავების ფურცლებით, ისე სპეციალურად გამოყოფილ საქმეში განთავსებული დოკუმენტებით.

შემოწმების შედეგად დასტურდება, რომ პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა** - კოლეჯის სასწავლო და სამუშაო კაბინეტები უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. **აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობა დასტურდება პსდ-ს შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზებით, ვიზუალური დათვალიერებისას ფაქტობრივი გარემოებით.**

10. პსდ-ს ყველა კორპუსში, დარგობრივი კაბინეტებისთვის განკუთვნილ ნაგებობებში, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას - არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. ყველა პროგრამისთვის გამოყოფილია ინდივიდუალური სასწავლო აუდიტორია/აუდიტორიები. აუდიტორიებსა და სამუშაო კაბინეტებში შესვლა შესაძლებელია ბარიერის და შეზღუდვების გარეშე, მათ შორის სადურგლო და ხეზე მხატვრული კვეთის დარგობრივ სივრცეში, რომელიც ცალკე მდგომი შენობაა, აქვს მოწყობილი პანდუსი. **ვიზუალური დათვალიერებითა და ფაქტობრივი გარემოებით, დასტურდება რომ პსდ-ს სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.**

11. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ბიბლიოთეკისთვის ცალკე სივრცე სამკითხველო დარბაზითა და წიგნსაცავით. სამკითხველო დარბაზით სარგებლობა ერთდროულად შეუძლია 20 პირს. სტუდენტებისთვის განკუთვნილია 7 კომპიუტერი, კომპიუტერი გამოყოფილია ასევე ბიბლიოთეკარისთვის (ჯამში ბიბლიოთეკაში განთავსებულია 8 კომპიუტერი). ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია ასლის გადაღებისა და ბეჭდვის ფუნქციის მქონე აპარატით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (7238 ერთეული) მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც სასწავლო, ისე მხატვრულ ლიტერატურასა და სხვადასხვა პუბლიცისტურ გამოცემებს. წიგნადი ფონდის ფლობა დასტურდება საბიბლიოთეკო რეესტრებით (/ინვენტარიზაციის წიგნი, კარტოთეკები, კატალოგები (მატერიალურ და ელექტრონულ მატარებელზე) წიგნის მოძრაობის/გაცემის აღრიცხვის ჟურნალი, პირადი ბარათები). ბიბლიოთეკის ფონდები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

პსდ-ს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები (რუბრიკაში „ელექტრონული სახელმძღვანელოები“) და ბიბლიოთეკის მუშაობის პროცედურები („დებულება“, „ბიბლიოთეკაში ქცევის წესები“). პროცედურები განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, თვალსაჩინო ადგილზე.

დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქცია და როლი საგანმანათლებლო თუ ადმინისტრაციული მიზნების მიღწევისთვის. განსაზღვრულია ასევე ბიბლიოთეკარის, მსმენელის უფლებები და მოვალეობები, ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:30 საათიდან 18:00 საათამდე, პ.5.1; და „ბიბლიოთეკის ქცევის წესები“). დოკუმენტებით განსაზღვრული ნორმები უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ეფექტური მართვას და საბიბლიოთეკო რესურსის ხელმისაწვდომობას. ინფორმაციის მიღებისა და საბიბლიოთეკო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკასთან საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

დაწესებულების დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით დასტურდება, რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია
3. „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძანება N01-04/219, 23.12.2020 წ.)
4. შპს კოლეჯის „ახალი ტალღა“ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
5. სასწავლო პროცესის მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის დამდასტურებელი დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პერსონალის სამუშაო აღწერილობები
7. დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირების პირადი საქმეები
8. დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ სამუშაოების შესრულების აღრიცხვის ფურცლები
9. დეზინფექცია/დეზინსექცია/დერატიზაციის ჩატარების მომსახურების მიღება-ჩაბარების შესახებ აქტები
10. შპს 'სოკარ ჯორჯია გაზი" ქობულეთის სერვის ცენტრის გეგმიური შემოწმების აქტები
11. კომუნალური მომსახურების/გაზის შესყიდვის გადახდების ქვითრები
12. შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ინსტრუქტაჟის ჟურნალები და ჩანაწერები
13. შრომის უსაფრთხოების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #03-08/178, 10.07.2023
14. დალაგებაზე პასუხისმგებელ პირების, ქიმიურ ნივთიერებების, ელ მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლოატაციის შესახებ, ინსტრუქტაჟის ფურცლები (27.01.2023; 05.07.2023)
15. პსდ-ს ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკის განყოფილება https://www.kpc.ge/library/Elcatalogs
16. სიპ კოლეჯ ,,ახალი ტალღის'' ბიბლიოთეკის დებულება (06/06/2023 ბრძანება №01-04/115)
17. საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაციის წიგნი
18. „სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა" თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების წესი" (ბრძანება 01-04/152 26.08.2022წ).
19. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან წარდგენილი „სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის" 2022 წლის საქმიანობის ანგარიში
20. ინვენტარის მონიტორინგის, შეფასების, დაგეგმილი მაკორექტირებელი აქტოვობბები, შეკეთების დოკუმენტაცია
21. სივრცეების განკარგვის/განაწილების ფორმა/დოკუმენტი
22. პსდ-ს დირექტორის 03/07/2023 ბრძანება №01-04/144 სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში" ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურეობაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ
23. ვიზუალური შეფასებისა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. შენობის მდგრადობის შემოწმების მიზნით, პსდ-ს მიერ განხორციელებულია ექსპერტიზა (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა #0404831820), რომლის თანახმად შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ფიქსირდება I და II ხარისხის დაზიანებები, რომლებიც ადამიანების სიცოცხლისა და შენობის მდგრადობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. დასკვნის თანახმად, პსდ-ს მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები უსაფრთხოა ექსპოლატაციისთვის.

სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტთა დასკვნით, დაზიანებების აღმოფხვრა შესაძლებელია ეტაპობრივად გეგმიური რემონტისას, ასევე გაცემულია რიგი რეკომენდაციები, შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით. მაგ. როგორიცაა წყალშემკრები ღარების აუცილებელი შეცვლა (შენობა 03) ან ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არსებული ბზარების ნაწილი გამოწვეულია ლიფტის შახტის შემდგომი კონსტრუქციის მოწყობითა და ლიფტების მოძრაობის ვიბრაციით. ვიზიტის დროს, კოლეჯის ადმინისტრაციასთან დაისვა კითხვა, შემოწმების შემდეგ დაიგეგმა თუ არა მათი აღმოფხვრის ან/და მაკორექტირებელი ღონისძიებები. მით უფრო, რომ დაწესებულების მენეჯმენტი აცხადებს, რომ პროცესების მართვა ხორციელდება უწყვეტად, დემინგის ციკლის თანახმად. პერსონალის განცხადებით, ამგვარი აქტივობებისთვის დაწესებულება უფლებამოსილი არაა თავად გამოყოს შესაბამისი ფინანსები, თუმცა ექსპერტთა კითხვა და მოთხოვნა ეხებოდა მხოლოდ შემოწმების შედეგად შემდგომი ქმედებისა და აქტივობათა დაგეგმვას. *დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, არა მხოლოდ სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებისთვის გამოიყენოს ციკლი „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“, არამედ ხარისხის მართვის პრინციპმა უნდა მოიცვას ყველა ძირითადი და დამხმარე, მათ შორის, მათი თანმდევი ქვეპროცესებიც.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ლიფტების არსებობიდან გამომდინარე, გამოთხოვილი იქნა ასევე ლიფტების უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (ლიფტების მონტაჟი დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით განხორციელებულია 2019 წელს). არც მონტაჟის ბოლოს და არც შემდგომ პერიოდში, დაწესებულების მიერ არ განხორციელებულა ლიფტების უსაფრთხოების ექსპერტიზა. *ლიფტების მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის №446 დადგენილებით („ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 31.12.2013) და უზრუნველყოს ლიფტების მომსახურება და ექსპერტიზა, დადგენილი პერიოდულობით.*

2022 წლის ავტორიზაციის ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შეუსაბამობის რეკომენდაცია გაიცა კონკრეტულ ინდიკატორთან მიმართებით, რაც გულისხმობდა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ღონისძიებების გატარებას. დაწესებულების მიერ, გეგმით განსაზღვრულ ვადებში, აღმოფხვრილია სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტებში დაფიქსირებული ხარვეზები. კოლეჯის ყველა კორპუსში, საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მოეწყო ერთიანი სახანძრო-საევაკუაციო სისტემა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელებული განმეორებითი შეფასების შედეგად გაცემული იქნა დასკვნა (MIA 7 23 01699110, 15.06.2023.), რომ შენობა-ნაგებობების მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

შიდა ნორმატიული დოკუმენტით („შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“ N01-04/95 ბრძანება 01.07.2020 წ.) დაწესებულების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს (მუხლი 4. პ.1). უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, პროცესების შესაბამისად პასუხისმგებლობები გადანაწილებულია სხვა პერსონალზეც. მაგ. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს; შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად სამსახურეობრივი ინსტრუქციების ფარგლებში ეკისრება დარაჯს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
სასურველია, პროცესების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით:

- ***დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების გარდა ხარისხის მართვის პრინციპმა („დაგეგმე-***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“) მოიცვას ყველა ძირითადი და დამხმარე, მათ შორის, მათი თანმდევი ქვეპროცესებიც.

- *ლიფტების მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებამ იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის №446 დადგენილებით („ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ 31.12.2013) და უზრუნველყოს ლიფტების მომსახურება და ექსპერტიზა, დადგენილი პერიოდულობით.*

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები გაწერილია „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“ (01.07.2020 წ. ბრძანება N01-04/95 , თავი IV. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესები და პასუხისმგებელი პირები). წესით განსაზღვრულია პირველადი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის თანახმად პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს შესაბამისი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, ან პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაბამისი ტრენინგი (მუხ. 8. პ.5);

პსდ-ს მიერ დადგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, კოლეჯს ემსახურება მედდა, გამოყოფილია კაბინეტი შესაბამისი აუცილებელი აღჭურვით. შენობაში ყველა სართულზე გამოკრულია კაბინეტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პასუხისმგებელი პირის/პირების მობილური ტელეფონის ნომერი. პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება პირველადი დახმარების შესახებ პერიოდული ინფორმირება, რასაც დაადასტურეს სტუდენტებმა გასაუბრებისას.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების არსებობას ადასტურებს ასევე დაწესებულების ჟურნალები („მედიკამენტების/სახარჯი მასალის გაცემის აღრიცხვის ჟურნალი“ და „ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი“). პირველადი დახმარების აღმოჩენის ყუთებია განთავსებული ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების სასწავლო გარემოში (შედუღების, კულინარიის, სადურგლოს და ა.შ. C სასწავლო გარემოში).

შეფასების შედეგად დასტურდება, რომ პსდ-ში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ განხორციელებულია ხანძარსაწინააღმდეგო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობის შემოწმება, როლის საფუძველზე პსდ-ში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემები (საევაკუაციო გეგმები, გასასვლელები, მაუწყებლობის/შეტყობინების საშუალებები, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების ტიპები და რაოდენობა) და მათი და მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დაწესებულებაში მიერ შემუშავებულია კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული (შეთანხმების კორესპონდენცია - MIA 6 22 00364743 11/02/2022) „საგანგებო სიტუაციების გეგმა“ (დამტკიცებულია 15.02.2022 ბრძ. #01-04/30). დოკუმენტით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. განსაზღვრულია რისკ-ფაქტორები, მათი მართვის ღონისძიებები და კონკრეტულ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.

დოკუმენტით ასევე დადგენილია, გაწერილი სცენარების შესაბამისად, პერსონალისა და სტუდენტების წვრთნა/სწავლება, კალენდარული წლის ნოემბერ - დეკემბერსა და მარტი-აპრილის პერიოდებში, ხოლო საევაკუაციო წვრთნა წელიწადში ერთხელ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა სწავლების დამდასტურებელი ჩანაწერები პერსონალის/პროფესიული სტუდენტების ხელმოწერით დამოწმებული, რომელთა განხორციელებაც ემთხვევა დოკუმენტით დადგენილ პერიოდებს. სწავლება-ინსტრუქტაჟის ჩატარებას ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები გასაუბრებითაც. მათ იციან საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები, ასევე სწორად ასახელებენ ასეთ დროს თავშეყრის ადგილს. აღნიშნულ ინფორმაციას ფლობენ ასევე შშმპ სტუდენტებიც.

პსდ-ს ადმინისტრაციის განცხადებით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან საგანგებო სიტუაციის დროს ევაკუაციის სიმულაციური სწავლების განხორციელების თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის წესი გაწერილია ასევე პსდ-ის „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“ (დირექტორის 01.07.2020 წლის N01-04/95 ბრძანებით, მუხლი 7.)

შეფასების შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაწესებულებაში ქცევის წესებს განსაზღვრავს პსდ-ს შინაგანაწესი (მუხლი 35. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და თანამშრომლების, ასევე, მესამე პირთა ქცევისა და გადაადგილების წესები და კარი III

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო განაწესი), რომელიც საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით აღწერს პერსონალის, სტუდენტთა/მსმენელთა და მათ შორის მესამე პირების/ვიზიტორების ქცევის წესებს.

დაცვისა და უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯის შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის სისტემით. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეო კონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეოჩანაწერების წვდომაზე პასუხისმგებელი პირი. დამატებით, დაწესებულების შენობა-ნაგებობის დაცვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულება (მოქმედების ვადა 2023 კალენდარული წელი) შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან. ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია უზრუნველყოფს კოლეჯის შენობების კონტროლსა და დაცვას.

პსდ-ის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის#01-04/58 ბრძანებით ასევე დარეგულირებულია კოლეჯის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული წესები და მისი დარღვევისას პასუხიმგებლობები. საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით ყველგან განთავსებულია თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვის ნიშანი და შესაბამისი ინფორმაცია.

წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულებას საშტატო განრიგით განსაზღვრულია დარაჯის პოზიცია (12 საშტატო ერთეული). სამუშაო აღწერილობით, გარდა შენობა-ნაგებობების დაცვისა, მათი ფუნქცია-მოვალეობას შეადგენს წესრიგის დაცვაც.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კორესპონდენცია საგანგებო სიტუაციების მართის გეგმის შეთანხმების შესახებ (MIA 6 22 00364743 11/02/2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (დამტკიცებულია 15.02.2022 დირექტორის ბრძანება #01-04/30)
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვების და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს კორესპონდენცია საგანგებო სიტუაციების შეთანხმების შესახებ (MIA 7 23 01699110, 15.06.2023.) და სახანძრო-ტექნიკური შემოწმების აქტები (#105 - #110)
4. შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა #0404831820 და 18.08.2020 კორესპონდენცია #5004721920.
5. შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულება #03-08/301, 09.12.2022
6. პსდ-ის „შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“ (დირექტორის 01.07.2020 წლის N01-04/95 ბრძანებით)
7. პსდ-ის დირექტორის 2018 წლის 20 აპრილის#01-04/58 ბრძანება სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ახალი ტალღა“ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებული მოქმედი წესების განსაზღვრის შესახებ
8. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ დირექტორის 26/06/ 2019 წლის ბრძანება №01-04/115- ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია
9. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ შინაგანაწესი, მუხლი 35. კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და თანამშრომლების, ასევე, მესამე პირთა ქცევისა და გადაადგილების წესები
10. პსდ-ს დირექტორის 07/07/2023 ბრძანება №01-04/152 „სსიპ კოლეჯ ,,ახალ ტალღაში'' ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელების წესი დამტკიცების და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შ ესახებ“ სსიპ კოლეჯ ახალი ტალღის დირექტორის 2023 წლის 20 თებერვლის N01-04/30 ბრძან ების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მოდიფიცირებული: „ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ
11. პსდ-ს დირექტორის 03/07/2023 ბრძანება №01-04/144 სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურეობაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი 26.07.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: